მალხაზ მაცაბერიძე •

ეროვნულ-დემოკრატიული იდეოლოგიის გააზრება საქართველოში (1918-1921) ••

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია 1917-1921 წლებში ქართულ პრესაში გამოქვეყნებული სტატიები ეროვნულ-დემოკრატიული იდეოლოგიის შესახებ. საქართველოში ეროვნული დემოკრატიის ცნების გააზრება განსაკუთრებით აქტუალური გახდა 1917 წლის გაზაფხულზე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნის შემდეგ. ეროვნული დემოკრატია ესაა ეროვნული იდეოლოგიის ფორმა, რომელიც ერთი მხრივ ემიჯნება მემარჯვენე არადემოკრატიულ პარტიებს და მეორე მხრივ მემარცხენე სოციალისტურ დემოკრატიულ პარტიებს. ეროვნულ-დემოკრატიული იდეოლოგიის გააზრების ახალი ტალღა დაიწყო 1921 წლის იანვარში, როდესაც საქართველოს ყველა არასოციალისტური დემოკრატიული პარტია და ჯგუფი გაერთიანდა და შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული პარტია. თუმცა 1921 წლის თებერვალ-მარტის ომმა და საქართველოს ოკუპაციამ რუსეთის წითელი არმიის მიერ, რასაც ქვეყანაში კომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმის დამყარება და ფაქტობრივი ანექსია მოჰყვა, შეწყვიტა ქვეყნის დემოკრატიული განვითარება და მთელი პოლიტიკური სპექტრი რეპრესიების ქვეშ მოექცა.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ეროვნული-დემოკრატია, პოლიტიკური იდეოლოგიები.

• პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

•• მოხსენება 2022 წლის 24 ნოემბერს ჩატარებულ მე-2 სამეცნიერო კონფერენციაზე „პოლიტიკური მეცნიერება საქართველოში: მიღწევები, პრობლემები, პერსპექტივები“.

ეროვნული/ნაციონალური დემოკრატია არის ეროვნული იდეოლოგიის ფორმა. ეს ტერმინი პოლიტიკურ ლექსიკონში შემოვიდა და დამკვიდრდა XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისის ევროპის ქვეყნებში, განსაკუთრებით პატარა ქვეყნებში იმ დემოკრატიული მიმდინარეობების აღსანიშნავად, რომლებიც ცდილობდნენ „განემტკიცებინათ ერის არსებობა დემოკრატიის საფუძველზე“ (სერგი დანელია, 1921).

საქართველოში ეროვნულ-დემოკრატიული იდეოლოგიის ფორმირება XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყება, მაგრამ ამ იდეოლოგიის მატარებელი პოლიტიკური პარტია საბოლოოდ მხოლოდ 1917 წლის მარტში, რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ჩამოყალიბდა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მესვეურები ქართული ინტელიგენციის პატრიოტული ნაწილის მიერ შექმნილი ტრადიციების გამგრძელებლებად მიიჩნევდნენ თავს და განსაკუთრებულ სიახლოვეს გრძნობდნენ ილია ჭავჭავაძესა და ნიკო ნიკოლაძესთან. როგორც სერგი დანელია შემდეგ აღნიშნავდა, „მთავარი პრინციპები ჩვენი შეხედულებებისა მრავალ კარდინალური ხასიათის საკითხებზე ჩვენ შეგვიძლია ამოვიკითხოთ ილია ჭავჭავაძის და ნიკო ნიკოლაძის ნაწერებში“ (სერგი დანელია, 1921). სერგი დანელია განსაკუთრებით გამოყოფდა ილია ჭავჭავაძის დამსახურებას, რომელმაც, მისი თქმით, ბევრი რამ გააკეთა ეროვნულ-დემოკრატიული იდეოლოგიის საფუძვლების შესაქმნელად. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ არც ილია ჭავჭავაძეს და არც ნიკო ნიკოლაძეს თავიანთ ნაწერებში არ გამოუყენებიათ ტერმინი ეროვნული დემოკრატია.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნასთან ერთად აქტუალური გახდა ეროვნული დემოკრატიის ცნების გააზრება და იმდროინდელ ქართულ პრესაში ჩნდება შესაბამისი სტატიებიც. ერთ-ერთი პირველი იყო სპირიდონ კედიას სტატია გაზეთ „საქართველოში“, რომელიც 1917 წელს, ამ პარტიის პირველი ყრილობის

შეკრების დღეს დაიბეჭდა. ეროვნულ-დემოკრატიული იდეოლოგიის არსი სპირიდონ კედიას მიერ მოკლედ შემდეგნაირად არის გადმოცემული: „საღი ნაციონალიზმი და რეალური ეკონომიზმი“, ამ იდეოლოგიას ხალხში შეჰქონდა „იდეა სამშობლოსი და სული საქმისა და მოქმედების“.

ეროვნულ დემოკრატიული იდეოლოგია უპირისპირდებოდა საქართველოში იმ დროს გაბატონებულ მარქსისტულ იდეოლოგიას. როგორც სპირიდონ კედია აღნიშნავდა, მარქსისტულმა იდეოლოგიამ „სოციალიზმი და ინტერნაციონალიზმი ყველა საგანთა საზომად გახდა. სოციალიზმის და ინტერნაციონალიზმის თვალსაზრისით ირჩეოდა ყოველი მოვლენა საქართველოს ცხოვრებაში“. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და იდეოლოგიის მთავარ ამოცანად ქართული საზოგადოების აზროვნებაში მარქსიზმის დომინირების დაძლევა იყო.

იმდროინდელი ვითარების გასააზრებლად უნდა ითქვას, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) წამყვანი პოლიტიკური ძალები დემოკრატიულ პარტიებს წარმოადგენდნენ და ორიენტირებულნი იყვნენ მაქსიმალურად დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაზე. დაპირისპირება არსებობდა მემარცხენე და მემარჯვენე, სოციალისტურ და არასოციალისტურ დემოკრატიულ პარტიებს შორის (იხ. M. Matsaberidze, 2014).

ტერმინი „ეროვნულ-დემოკრატიული“ ორ იდეას გამოხატავდა: ერთი მხრივ, ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობა იცავდა ერს დემოკრატიული ინტერპრეტაციით და ემიჯნებოდა სხვა (არისტოკრატიულ, პლუტოკრატიულ და ა.შ.) მიდგომებს; მეორე მხრივ, სიტყვა „ეროვნულის“ დამატებით ეს მიმდინარეობა ემიჯნებოდა ასევე მათ, ვისაც „დემოკრატია“ კლასობრივი თვალსაზრისით ესმოდა. კლასი ეროვნულ-დემოკრატებისთვის მხოლოდ ერის ნაწილია, რომელსაც არ შეუძლია არსებობა მთელი ერის გარეშე.

ამგვარად, ეროვნული/ნაციონალური დემოკრატია როგორც იდეური მიმდინარეობა და პოლიტიკური მოძრაობა ერთი მხრივ უპირისპირდებოდა არადემოკრატიულ ეროვნულ პარტიებს, მეორე მხრივ დემოკრატიულ, მაგრამ არაეროვნულ პარტიებს (სოციალისტებს). რეაქციონერებს უპირისპირებდა დემოკრატიზმს, სოციალისტებს კი ეროვნულ იდეას.

ი. ხახანაშვილი სტატიაში „ჩვენი იდეოლოგიისათვის“ აღნიშნავდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის იდეოლოგიის სამ ძირითად საყრდენს: ა/ ქართველი ერის სწრაფვა დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შექმნისკენ; ბ/ დემოკრატიული წყობილების დამყარების სურვილი; გ/ სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების კერძო საკუთრების პრინციპზე აგების მტკიცე სურვილი. მისივე განცხადებით, „ეს სამი დედა-ბოძი ჩვენი პარტიის არსებობისა იმდენად ღრმა-ფესვიანი აღმოჩნდნენ საქართველოს ნიადაგზე, რომ ეროვნულ დემოკრატიული იდეოლოგია თამამად შეიძლება ქართველ ერის იდეოლოგიად მივიჩნიოთ“ (ი. ხახანაშვილი, 1919).

ეროვნული-დემოკრატიული იდეოლოგიის გააზრების ახალი ტალღა დაიწყო 1921 წლის იანვარში, როდესაც საქართველოს ყველა არასოციალისტური და დემოკრატიული პარტია და ჯგუფი გაერთიანდა საქართველოს დემოკრატიულ პარტიად (იხ. Malkhaz Matsaberidze, 2019). ამ მხრივ, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ცნობილი ქართველო ფილოსოფოსის სერგი დანელიას სტატიები, რომელიც აღნიშნული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და იდეოლოგი იყო. სერგი დანელია არასწორად მიიჩნევდა მოსაზრებას, რომ „ეროვნულ დემოკრატიული მიმდინარეობა გაჩნდა მარქსიზმის შემდეგ“, მისი თქმით, საქმე სწორედ პირიქით იყო: „მარქსიზმი გაჩნდა საქართველოში, როგორც ოპოზიცია ეროვნული და დემოკრატიული მიმდინარეობისა ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებაში“ (დანელია, 1921).

დაპირისპირება სოციალისტურ და ეროვნულ-დემოკრატიულ იდეოლოგიებს შორის უმთავრესი ფაქტორი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ქვეყანა საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადებოდა, რაც 1921 წლის შემოდგომაზე უნდა ჩატარებულიყო. თუმცა, მოვლენათა ნორმალური განვითარება ძალადობრივად შეწყდა. 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შემდეგ საქართველო ოკუპირებული იქნა საბჭოთა რუსეთის არმიის მიერ. ქვეყანაში დამყარდა კომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმი და რამდენიმე წელიწადში სრულად განადგურდა ქვეყნის დემოკრატიული პოლიტიკური სპექტრი.

ლიტერატურა

- ს.დანელია. ტერმინი „ეროვნული დემოკრატია“ – „საქართველო“, 1921 წ. 27 იანვარი N 19, გვ.2
- ს. კედია. ეროვნული დემოკრატია - „საქართველო“, 1917
- ა. ხახანაშვილი. ჩვენი იდეოლოგიისათვის - „საქართველო“, 1919 წ. 15 აპრილი, N 83
- M. Matsaberidze 2014 - The Democratic Republic of Georgia (1918–21) and the search for the Georgian Model of Democracy - The Making of Modern Georgia, 1918–2012, 141-160
- Malkhaz Matsaberidze, 2019 - Constituent Assembly of Georgia and Formation of Party System - http://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/1140

Malkhaz Matsaberidze

Comprehending the National-Democratic Ideology in Georgia (1918-1921)

Summary

The paper deals with the essays published in the Georgian press of 1917-1921 on the national-democratic ideology in Georgia. The comprehension of the conception of the national democracy in Georgia was actualized in the Spring, 1917, after the creation of the National-Democratic Party. The national democracy is the form of the national ideology, that tries to distance itself from the right-wing non-democratic parties on the one hand and from the left-wing social-democratic parties on the other hand. The new wave of reflection on the national-democratic ideology started in January, 1921, when all non-socialist democratic parties and groups of Georgia were united and the Democratic Party of Georgia was formed. Although, the War of February-March, 1921 and the occupation of Georgia by the Red Army of Russia, which was followed by the establishment of the Communist totalitarian regime and the annexation of the country, stopped the democratic development of Georgia and the entire political spectrum came under severe repressions.

Key words: Georgia; National-Democracy; Political Ideologies.